

ბორჯომის მუნიციპალიტეტის წყლის რესურსების შეფასება

ქეთევან ქოჩლაძე

ელ-ფოსტა: ketkochladze@gmail.com

გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი,
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ი.ჭავჭავაძის გამზ. #3, 0179, თბილისი

ნაშრომი ეძღვნება ბორჯომის მუნიციპალიტეტის ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების რესურსების მდგომარეობის ჰოლისტიკური და მულტიდისციპლინარული მიდგომით შესწავლა-შეფასებას, ჩატარებული სამუშაოების შედეგად აღწერილია ბორჯომის მუნიციპალიტეტში არსებული ჰიდროლოგიური რესურსები და მათი ინტეგრირებული მართვის პერსპექტივები.

ინოვაციური მართვის, როგორც სტანდარტის დაფუძნება რეგიონის წყლის რესურსების ინტეგრირებულ მართვაში ბუნებრივად არის შერწყმული ადგილობრივ წყლის რესურსების ხასიათთან, გარემოსთან, კლიმატურ პირობებთან რელიეფთან და წყლის რესურსების ადგილობრივ და საერთაშორისო დონის მოთხოვნებთან.

მიღებულმა დასკვნებმა აჩვენა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ბორჯომის მუნიციპალიტეტში აბსტრაქციას აქვს ლოკალური გავლენა მიწისქვეშა და ზედაპირული წყლების რესურსებზე, ეს არ ახდენს უარყოფით გავლენას როგორც მიწისქვეშა ასევე ზედაპირული ჰიდრო რესურსების ჰიდროეკოლოგიაზე.

კვლევის შედეგად განხილულ იქნა ყველა შესაძლო სცენარები და აირჩა ოპტიმალური გადაწყვეტა რომელიც არსებული წყლის რესურსების ოპტიმალურ გამოყენებას და სამომავლო განვითარების დაგეგმვას შეუწყობს ხელს.

კომპლექსური მონაცემების გაანალიზების შედეგად შედგენილი მოდელი აუმჯობესებს მიწისქვეშა და ზედაპირული წყლების რეგიონალური ნაკადის ჰიდროეკოლოგიურ გაგებას, რაც უზრუნველყოფს რეგიონში წყლის ბალანსის ყველაზე განახლებულ წარმოდგენას. ის გამოყენებული იქნება მარეგულირებელი გადაწყვეტილებების ინფორმირებისთვის და წყლის ობიექტებზე აბსტრაქციის ზემოქმედების შესაფასებლად, რაც ხელს შეუწყობს გარემოს დაცვას.

ლიტერატურა

[1] ჰიდროეკოლოგიური ანგარიში - ბორჯომის მინერალური წყლის საბადოს საექსპლუატაციო მარაგების გადათვლაზე. (01.05.2021 წ. მდგომარეობით) – „აიდიეს ბორჯომი საქართველო“, ს/ს „ჰიდეკი“.

[2] Water Resource Assessment Handbook to Review National Capabilities – UNESCO -1997

